

# ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №52  
2018 წლის 9 მარტი

დაბა ხულო

**„ხულოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1. „ხულოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №1 დადგენილებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:**

1. დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომსახურების ერთ თვეზე მეტი შეწყვეტის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელის მოთხოვნით გადასახდელი თანხა შესაძლებელია შემცირდეს ამ პერიოდში გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობით.“

6. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის გაწეული მომსახურების შეფერხების, შეზღუდვის, დაგვიანების, აგრეთვე მომსახურების ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში მოსაკრებლის გადამხდელს არ აქვს უფლება მოითხოვოს მოსაკრებლის განაკვეთის გადახდისაგან გათავისუფლება ან მისი განაკვეთის შემცირება.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული №3 დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დანართი №3**

**იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობის გამომანგარიშების ცხრილი**

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვროს:

N	საქმიანობის სფერო	ზომის ერთეული	(N) ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა 1მ <sup>3</sup>	1კმმ ნარჩენების გატანის მოსაკრებელი (G) (ლარი)
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართობის 1კვ.მ	0,01	6



2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები  (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართობის  1კვ.მ	0,0925	6
3	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართობის  1კვ.მ	0,15	6
4	სოფლის კლუბები, სახელმწიფო თეატრი	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,1	6
5	სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები  (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	სული	0,05	6
6	სასტუმროები (ინფრასტრუქტურის ფართზე შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაერიცხება)	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	0,2125	6
7	სავადმყოფოები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი საწოლი	0,1375	6
8	პოლიკლინიკები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,075	
9	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0,005	6
		----- დახურული ფართის 1მ <sup>2</sup>	0,05	6
10	სასურსათო საქონლის მაღაზიები  (სავაჭრო დარბაზი)	სავაჭრო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,1625	6
		არასავაჭრო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,1625	6
11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები  (სავაჭრო დარბაზი)	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,1375	6
12	შერეული საქონლის ბაზრობები	ერთი ადგილი	0,19	6
13	ავტოსადგომები	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0,005	6
		----- დახურული ფართის 1მ <sup>2</sup>	0,0925	6
14	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,075	6



15	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ, მომსახურების ადგილები	ღია საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,0125	6
		დახურული საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,05	6
16	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,1375	6
17	სადალაქოები და სილამაჯის სალონები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,1375	6
18	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,035	6
19	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,2375	6
20	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,1375	6
21	საცხოვრებელი	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,15	6
22	საავტომობილო სადგური	ღია ფართის 1მ <sup>2</sup>	0,005	6
		დახურული ფართის 1მ <sup>2</sup>	0,05	6
23	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბალები, ატრაქციონები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,005	6
24	შერეული საქონლის მაღაზიები	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,19	6
25	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობების (საწარმოო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1მ <sup>2</sup>	0,2	6
26	სამხედრო ნაწილები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	0,1975	6

მოსაკრებლის რაოდენობა თვეში (M) გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$M=NXCXK/12$$

N – ნარჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში

C – მოსაკრებელი 1კმ ნარჩენის გატანაზე, C=6 (ლარი)

K – ზომის ერთეული (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა.“.



## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ დიმიტრაძე

